

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2016

- ✘ გარემოს დაცვა
- ✘ ბუნებრივი რესურსები
- ✘ მდგრადი განვითარება

შალვა ნათელაშვილი -
საქართველოს
ლეიბორისტული პარტია

ამონარიდი

2016 წლის საპარლამენტო
არჩევნებისთვის გამოქვეყნებული
საარჩევნო პროგრამიდან

საარჩევნო პროგრამა სრულად ხელმისაწვდომია

პოლიტიკური გაერთიანების ვებ-გვერდზე: <http://bit.ly/2dEU242>

მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: <http://bit.ly/2dpWVYU>

სოფელი

ქართული მიწა უნდა დარჩეს საქართველოს მოქალაქეთა განკარგულებაში. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი გახდება სოფელი, სადაც ცხოვრების პირობები მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ქალაქისას, გაზით, წყლით, გათბობით, გზით, ინტერნეტიზაციით, ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურით, პატარა ნაკვეთებისგან შეიქმნება მსხვილი ნებაყოფლობითი კომპერტივები, რომლებიც იქნებიან უზრუნველყოფილი შეღავათიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საკრედიტო, მომარაგებითი რეჟიმით. განსაკუთრებული ზრუნვის სფერო იქნება ინდივიდუალური, გლეხური ფერმერული მეურნეობები. ფართოდ უნდა განვითარდეს საკონსერვო, გადამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობა სოფლის დონეზე. აღდგება ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო სახელმწიფო შესყიდვა-დამზადება საბაზრო ფასებით. უპირატესობა მიეცემა საქართველოში მოწეულ უნიკალურ, ეკოლოგიურად სუფთა, არაგენმოდირებული საკვებ პროდუქტებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. შეწყდება ხალხის მოწამვლა უცხოური მავნებლური საკვებით.

ეკოლოგია, ბუნების დაცვა, ფლორა და ფაუნა

საქართველო უნიკალური კლიმატური საოცრებების გზაჯვარედინია, თუმცა უკონტროლო სამრეწველო გამონაბოლქვებით, ავტოტრანსპორტის, განსაკუთრებით უცხოური სატრანზიტო ტვირთგადამზიდი საშუალებებით ისეა დაბინძურებული ჰაერი, რომ ჩვენ ვდგავართ ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე. განსაკუთრებით დაბინძურებული ჰავაა თბილისში, კასპში, რუსთავში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში. შესაბამისად მომატებულია საერთო სიკვდილიანობა მოსახლეობაში, მკვეთრად გაზრდილი სასიკვდილო დაავადებების დინამიკა. ვალდებულებას ვიღებთ, რომ არცერთი საწარმო არ იმუშავებს, თუ არ დამონტაჟდა გამწმენდი თანამედროვე მოწყობილობა, მკაცრად გაკონტროლდება უცხოური მიმღე ტრანსპორტიდან და საერთოდ გამონაბოლქვის დასაშვები ამპლიტუდა, აიკრძალება ქვეყნიდან ხე-ტყის მასობრივი გატანა, ჩვენი ბუნებრივი მწვანე საფარის მოჭრა-განადგურება. განახლება ტყეთა აღდგენისა და გაშენების პროცესები, გამოიყოფა სახსრები ეროზიის, მეწყერული მოვლენებისა და ზვავური პროცესების დასარეგულირებლად. უნიკალური წყლის რესურსები ჩადგება ჩვენი ხალხის სამსახურში და არ დაიშვება მათი გადაქაჩვა მეზობელ სახელმწიფოებზე კრიმინალური ბიზნეს-გარიგებით, როგორც ამას აპირებენ დღეს. შეჩერდება, დაკონსერვდება, გადაისინჯება დამანგრეველი ჰიდრო პროექტების რეალიზაცია მთიან აჭარაში, ჭოროხის ხეობაში, თერგის ხეობაში, ენგურის, სვანეთის მონაკვეთზე, რაჭაში და ყველგან, სადაც ჩვენი ბუნების განადგურების, ეკომიგრაციის, მეწყერების, ზვავების და ბუნების გადაგვარებისთვის სახელისუფლო ოლიგარქების მიერ ხორციელდება ჰესების მშენებლობა, რაც ჩვენი ხალხისთვის და მთლიანად მიმდებარე რეგიონისათვის ეკოლოგიური გენოციდის ტოლფასია. საქართველოში მობინადრე უნიკალური ფაუნის დასაცავად შემუშავდება მტკიცე სახელმწიფო პოლიტიკა, განსაკუთრებული დაცვის ობიექტი გახდება განადგურების პირას მყოფი სახეობების გადარჩენა და მომრავლება, გაფართოვდება დაცული ტერიტორიების სივრცე, გაძლიერდება მათზე სახელმწიფო ზრუნვა და ყურადღება. შინაური და გარეული ცხოველებისადმი ჰუმანური მოპყრობა უნდა გადაიქცეს საზოგადოებრივი ცხოვრების წესად.